სტანდარტული პირობები საბანკო მომსახურების ხელშეკრულებებში

და მისი პრაქტიკული პრობლემები

(საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით)

სამართლის დოქტორი, პროფესორი თამარ ჩიტოშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი; თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი; საქართველოს დავით აღმაშენებელის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი; გურამ თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 37, საფოსტო ინდექსი: 0162

რეზიუმე

კეძო სამართლებრივ ურთიერთობებში სუბიექტებს შორის ურთიერთობის მომწესრიგებელ საფუძველს ძირითადად ხელშეკრულება წარმოადგენს. ამიტომაც, ამ ურთიერთობების სწორად რეგულირება დამოკიდებულია ხელშეკრულების შინაარსის სწორად განსაზღვრაზე, რათა არ იყოს ბუნდოვანი და ორაზროვანი გამონათქვაამები. ხელშეკრულების შინაარსის სწორად შედგენა და რეალიზაცია თანაბრად უნდა იცავდეს მხარეთა ინტერესებს. ამ მხრივ ყველაზე პრობლემური სტანდარტული პირობების მქონე ხელშეკრულებები და ამ პირობების შესრულების შედეგებია. როგორც ინდივიდუალური, ისე სტანდარტული ტიპის ხელშეკრულებათა შინაარსის შედგენისას საჭიროა კეთილსინდისიერების პრინციპის მაღალი ხარისხით დაცვა სახელშეკრულებო თავისუფლების კანონისმიერი შენარჩუნების ფარგლებში. აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელი იქნება ორმხრივად მისაღები სამართლებრივი შედეგების მიღწევა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა. აუცილებელია სტანდარტული პირობების მქონე ხელშეკრულებათა შინაარსის კონტროლის სამართლებრივი მექანიზმის დაწესება.

საკვანძო სიტყვები: ხელშეკრულება, სტანდარტული პირობები, კეთილსინდისიერება, სახელშეკრულებო თავისუფლება, საბანკო ხელშეკრულება

შესავალი

„საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს ხელშეკრულების ცნების საკანონმდებლო განმარტებას, მაგრამ, საქართველოს სამოქალაკო კოდექსის 50-ე მუხლი იძლევა გარიგების განმარტებას, კერძოდ: გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი

ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. აღნიშნული განმარტება მოიცავს ხელშეკრულების ელემენტებსაც, მით უფრო, თუ გამოვიყენებთ დოქტრინისეულ განმარტებას, რომ ყველა ხელშეკრულება გარიგებაა, ხოლო ყველა გარიგება არ არის ხელშეკრულება.
ხელშეკრულება სახელშეკრულებო სამართლისა და მისი თავისუფლების განმსაზღვრელია.
ხელშეკრულებით დათქმული პირობების შესრულების საფუძველზე წარმოიშობა სწორედ ის სამართლებრივი შედეგები, რომელიც ხელშეკრულების მხარეებმა ისურვეს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მართალია მოიცავს თითქმის ყველა გავრცელებული ტიპის ხელშეკრულებას, თუმცა. ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. კანონით აუკრძალავი მოქმედების განხორციელების უფლება (სსკ 10 მუხლი) კანონით გაუთვალისწინებელი ხელშეკრულების დადებასაც გულისხმობს. (წიგნი III, რედ: ლ. ჭანტურია, 2019, გვ.56).

ყოველი ტიპის ხელშეკრულება ინდივიდუალური ხასიათისაა. შესაბამისად ყოველ ცალკეულ ხელშეკრულებას შეიძლება განსხვავებული სტრუქტურა ჰქონდეს. მაგრამ, არსებობს დებულებები, რომლებიც მეტ-ნაკლები სახესხვაობით ხელშეკრულებათა უმრავლესობაში გვხვდება. შესაბამისად, ისინი ზოგად დებულებებს მიეკუთვნება და მათი არსებობა სახელშეკრულებო სამართალში როგორც თავისუფლების, ისე შემზღუდველი ფუნქციის მატარებელია.

სახელშეკრულებო ვალდებულების წარმოშობის საფუძველი ძირითადად მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული, თუმცა, ამ საფუძვლის ნებელობითი ხასიათი არ გულისხმობს, რომ იგი მთლიანად თავისუფალია საკანონმდებლო ნებელობისაგან. აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ კონკრეტული ხელშეკრულების შინაარსის ჩამოყალიბება ხდება სწორედ იმპერატიული და დისპოზიციური ნორმების ურთიერთკავშირით. ეს კი ყველა ტიპის ხელშეკრულებისთვის არის დამახასიათებელი. (თ. ჩიტოშვილი, 2015, გვ.38)

ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის საფუძველს უმეტესადად დისპოზიციური ნორმები წარმოადგენს. დისპოზიციური ნორმები გამოიყენება მაშინაც, როდესაც მხარეებს უკვე დადებულ ხელშეკრულებაში ღიად დარჩათ ესა თუ ის საკითხი, ან კანონის ნორმას მიენდნენ და ამიტომ დატოვეს ღიად, ღიად დარჩენილ ურთიერთობას აწესრიგებს კანონის ნორმა. (ლ. ჭანტურია, 1997, გვ.342)

2. თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების ურთიერთკავშირი სტანდარტული პირობების ხელშეკრულებებში

ხელშეკრულების ტიპის თავისუფლებაში იგულისხმება მხარეთა უფლება თავად განსაზღვრონ თუ რა ტიპის ხელშეკრულებას დებენ, ე. ი. თავადვე „მოიგონონ“ მათი ურთიერთობების, ვალდებულებებისა და უფლებების ყველაზე უკეთ ამსახველი ხელშეკრულების ტიპი. (გ. სვანაძე, გვ.102).

ხელშეკრულების თავისუფლება ძირთადად უკავშირდება, ასევე, მისი შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობას რაც დისპოზიციური ნორმების საფუძველზეა შესაძლებელი.

სამოქალაქო სამართალი კეთილსინდისიერების, ე.ი. კეთილი ნების პრეზუმფციას განამტკიცებს. ეს ნიშნავს იმის ვარაუდს, რომ ურთიერთობის მონაწილეები თავიაანთ უფლებებს კეთილსინდისიერად ახორციელებენ (ლ. ჭანტურია, 2011, გვ.86)

ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები პირდაპირ ადგენს, რომ მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად დადონ ხელშეკრულება, განსაზღვრონ ფორმა და შინაარსი კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის პრინციპების შესაბამისად თუ ხელშეკრულება „ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებში“ მოცემულ იმპერატიულ ნორმებს არ ეწინააღმდეგება (1:102 მუხლი).

აღნიშნული პრინციპების დაცვა ერთნაირად სავალდებულოა როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისთვის.

ფორმალური სახელშეკრულებო თავისუფლება გულისხმობს კერძო იურიდიული პირისათვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, ინდივიდუალურად წარმართოს თავისი სამართლებრივი საქმიანობა. აქედან გამომდინარე, საქმე ეხება მის კომპეტენციას იურიდიული გადაწყვეტილების მიღების შესახებ. (Kathleen Sedlmeier - 2012, seite-26)

კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა სავალდებულოა წინასახელშეკრულებო მოლაპარაკებების დროსაც, რადგან ძირითადი ხელშეკრულება მისი პირდაპირი შედეგია.

წინასახელშეკრულებო მოლაპარაკების პროცესში ერთ-ერთმა მხარემ შეიძლება იმოქმედოს არაკეთილსინდისიერად - მცდარი ინფორმაციის წარმოდგენის გზით მეორე მხარე შეიყვანოს შეცდომაში და ა. შ. მსგავსი ქმედებების გამო მხარეს შეიძლება დაეკისროს გარკვეული პასუხისმგებლობა, მიუხედავად იმისა, მოხდება თუ არა მხარეებს შორის ხელშეკრულების დადება. (გ. სვანაძე, 2014, გვ.111)

ხელშეკრულების დადების პროცესი სხვადასხვა თავისებურებებითა და გარემოებებით ხასიათდება, რომლის შედეგად სხვადასხვა სახის ხელშეკრულებები წარმოიშობა.

ოფერტი - ხელშეკრულების დასადებად შეთავაზებული წინადადებაა, რომელიც ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რაც მარტივს გახდის აქცეპტანტისთვის ხელშეკრულების დადებაზე გადაწყვეტილების მიღებას. როგორც წესი, ოფერტი მომავალი ხელშეკრულების არსებით პირობებს უნდა შეიცავდეს. (გ. სვანაძე, 2014, გვ.117)“. ხელშეკრულების დადების აღნიშნული წესი ახასიათებს ინდივიდუალური ტიპის ხელშეკრულებებს, რომლებიც წინასწარი მოლაპარაკებების შედეგია და რომელთა პირობებიც ურთიერთშეთანხმებით დგინდება.

ინდივიდუალური ტიპის ხელშეკრულებებისაგან განსხვავდება სტანდარტული პირობების მქონე ხელშეკრულება.

ხელშეკრულების დადების თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების კავშირის აუცილებლობა იმითაც არის განპირობებული, რომ შესაძლოა ხელშეკრულების შინაარსი ფორმალურად კანონსაწინააღმდეგო არ არის, მაგრამ, თუ მასში, მხოლოდ ერთი მხარის ინტერესებია გათვალისწინებული, მაშინ ასეთი გარიგებები თავისი არსით საზოგადოებრივ მართლწესრიგს არღვევს და სამოქალაქო ბრუნვას აფერხებს. (#2ბ/4686-13 გადაწყვეტილება)

ხელშეკრულების დადების თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების ჰარმონიულობა ხშირად ირღვევა სტანდარტული პირობების მქონე ხელშეკრულებით მოწესრიგებულ ურთიერთობებში.
საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლის თანახმად: ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემვსები წესების დადგენა.

მრავალჯერად ხელშეკრულებათა სახელშეკრულებო პირობების წინასწარი ფორმულირება მნიშვნელოვნად განსხვავდება ინდივიდუალური და საერთო ბიზნესის ხელშეკრულებებისაგან. წინასწარი ფორმულირების არსებითი დანიშნულებაა ძირითადად მრავალჯერადი გამოყენება და არა მისი ობიექტური ვარგისიანობა. ხელშეკრულების პირობების მრავალჯერადი გამოყენება წარმოადგენს მხოლოდ ავტორის მიზანს და არ არის აუცილებელი მომხმარებლისთვის. (Dr. Jörg Fritzsche, Dr.Kai-Oliver Knops, 2018, seite-25)

აუცილებელია, რომ შემთავაზებელმა, ან მისმა დამხმარემ კლიენტს წაუყენოს და მოსთხოვოს წინასწარ ჩამოყალიბებული ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენება (სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, გვ.185)

წინასწარ ჩამოყალიბებული სტანდარტული პირობები ძირითადად ერთი მხარის, ანუ ამ პირობების დამდგენი მხარის ძირითად ინტერესებს ემსახურება. გარდა იმისა, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები მომხმარებელთა ინტერესებზე მეტად მის შემდგენელთა ინტერესებს იცავს, მისი დადებითი მხარე დროის დაზოგვაშიც ვლინდება, რადგან ერთხელ ჩამოყალიბებული სახელშეკრულებო პირობები მომხმარებელთა განუსაზღვრელ პირთათვის არის გათვლილი. ამიტომაც, სტანდარტული ტიპის ხელშეკრულებები ძირითადად ბიზნესს ემსახურება და კომერციული იურიდიული პირების მიერ წარმოებული საქმიანობის სფეროში გვხვდება. ასეთ იურიდიულ პირებს დომინირებული მდგომარეობა უკავიათ, რაც კიდევ უფრო მეტად ქმნის მომხმარებელთა უფლებების დაცვის პრობლემებს.

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დადგენისას ხშირად ირღვევა კეთილსინდისიერების პრინციპი, რომელიც მაქსიმალურად მაღალი ხარისხით უნდა არსებობდეს კერძო სამართლებრივ და კონკრეტულად, კი, სახელშეკრულებო ურთიერთობებში. შესაბამისად, ირღვევა მხარეთა თანასწორუფლებიანობა, რაც მთავარი პრინციპია კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში.

პირობების დამდგენმა მხარემ სწორად უნდა განმარტოს და გასაგებად მიაწოდოს ინფორმაცია ხელშეკრულების შინაარსის შესახებ მეორე მხარეს.

არაადეკვატური ინფორმაცია გულისხმობს მოვალის მხრიდან არასწორ განმარტებას, რაც ვალდებულების დარღვევაა და შესაბამისად იწვევს როგორც არაეფექტურ შედეგებს, ისე პასუხისმგებლობას ვალდებულების დარღვევისათვის. (Lieb/langen, seite-3534)

კეთილსინდისიერების პრინციპი პირდაპირ არის გათავალისწინებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნორმით, კერძოდ 8-ე მუხლის მესამე პუნქტით, რომლის თანახმად სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიაანთი უფლებები და მოვალეობანი.
მითითებული ნორმის გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის 2-ე პუნქტიც სპეციალურ დათქმას აკეთებს სამართლებრივი ურთიერთობის იმ სუბიექტების მიმართ, რომლებიც განსაკუთრებული მდგომარეობით გამოირჩევიან ბიზნესში, კერძოდ: თუ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს უკავია დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე, მაშინ საქმიანობის ამ სფეროში მას ეკისრება ხელშეკრულების დადების ვალდებულება. მას არ შეუძლია კონტრაჰენტს უსაფუძვლოდ შესთავაზოს ხელშეკრულების არათანაბარი პირობები. აღნიშნული ნორმა იმპერატიულად ადგენს კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვას ბაზარზე დომინირებული მდგომარეობის მქონე სუბიექტების მიერ ხელშეკრულების დადებისას. ამით დაცულია ჩვეულებრივ მომხმარებელთა ინტერესებიც.
კეთილსინდისიერების პრინციპის სამართლებრივი დაცვის მექანიზმი კიდევ უფრო გამოკვეთილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სპეციალურ ნორმებში (342-348). აღნიშნული ნორმების საფუძველზე კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევით ჩამოყალიბებული სტანდარტული პირობების მქონე ხელშეკრულებები ბათილია.
ბათილად შეიძლება ჩაითვალოს ხელშეკრულების კონკრეტული პირობაც, რაზედაც პირდაპირ უთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სპეციალური მუხლი (346), რომლის თანახმად: ბათილია ხელშეკრულებათა სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებები, რომელთა არსებობისას იქნა ეს პირობები ხელშეკრულებაში შეტანილი, მხარეთა ორმხრივი ინტერესები და სხვა.

აღნიშნული ნორმით სამართლებრივი კეთილსინდისიერების ფარგლებში იზღუდება სტანდარტული პირობების დამდგენი მხარის თავისუფლება, თუკი ამით ირღვევა მეორე მხარის ინტერესები.

კეთილსინდისიერების პრობლემა საბანკო ხელშეკრულებების პირობებში

სტანდარტული პირობების მქონე ხელშეკრულებათა გამოყენებისას არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება და მომხმარებლისათვის მისი არაეფექტური შედეგები უმეტესად საბანკო საქმიანობის სფეროში ვლინდება.

თავისუფალი სახელშეკრულებო ურთიერთობების საფუძველზე ბანკები და საკრედიტო დაწესებულებები ერთი შეხედვით მიმზიდველი პირობებით ახდენენ მომხმარებელთა ჩართვას პროცესებში. მინიმალური ცოდნის გამო მომხმარებელი წინასახელშეკრულებო მოლაპარაკების სტადიაზე სათანადოდ ვერ აფასებს შემოთავაზებული, ხშირ შემთხვევაში ბათილი, სტანდარტული პირობების შედეგებს და იგი სამართლებრივად კაბალურ პირობებში ექცევა.

სახელშეკრულებო თავისუფლება ხშირად სტანდარტული პირობების დამდგენ საბანკო დაწესებულებებს ცალსახად უპირატეს მდგომარეობას უქმნის.

კრედიტის მიმღებთა უფლებების დაცვა არასაიმედო მდგომარეობაშია. მომხმარებლები ძირითადად ხელს აწერენ სტანდარტული ტიპის ხელშეკრულებებს, რომელიც ბევრ კანონსაწინააღმდეგო პუნქტებსაც მოიცავს და მათ ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა პრაქტიკულად მიუღწეველია, რადგანაც სტანდარტული პირობების წაყენება გულისხმობს შემთხვევას, როდესაც კონტრაჰენტს არ გააჩნია არანაირი სამართლებრივი საშუალება შეცვალოს ან რაიმე სახის ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსზე.

ხელშეკრულების ასეთ პუნქტებს კრედიტის გამცემი სუბიექტები მიზანმიმართულად, ხშირად უსაფუძვლოდ, თავის სასარგებლოდ იყენებენ.

სტანდარტული პირობები, მაშინ, როდესაც მხარეთა შორის ფაქტობრივი თანასწორობა უზრუნველყოფილია, პრობლემებს არ უნდა ქმნიდეს, თუმცა სამომხმარებლო ურთიერთობებში მომხმარებლის სუსტი პოზიციები საპირისპირო შედეგს იძლევა. ამის მიზეზები ბიზნესის ეკონომიკურად ძლიერი პოზიციები და მომხმარებლის ნაკლებინფორმირებულობა თუ ნაკლებინიციატივიანობაა, გამომდინარე ყოველდღიურ გარიგებათა არცთუ მაღალი ღირებულებით. იგივე ლოგიკა ზოგიერთ შემთხვევაში არამომხმარებელ კონტრაჰენტზეც შესაძლოა გავრცელდეს, სადაც შემთავაზებელი მეტი საბაზრო ძალაუფლების მატარებელია. (ვ. ზაალიშვილი, გვ.186)

გერმანულ დოქტრინაში გამოთქმულია მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულების დადებისას სახელშეკრულებო პარიტეტის აღრევა პირველ რიგში გამოწვეულია მომხმარებელთა არაპროფესიონალიზმით, რომლის კომპენსაციის ინსტრუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ მხარეებმა ერთმანეთს მიაწოდონ რელევანტური ინფორმაცია ხელშეკრულების დადების შესახებ, რომელსაც კანონი ადგენს თითოეული ბიზნეს სექტორისთვის. იქ სადაც ინფორმაციის დეფიციტია, ირღვევა ხელშეკრულების პარიტეტი. კანონი უფლებას ანიჭებს მომხმარებელს, რომ

მოგვიანებითაც გამოვიდეს მისთვის არასასურველი ხელშეკრულებიდან. (Dr.Dr.h.e. Peter Bulow ; Dr. Markus Artz, 5 Aufgabe, seite 12)

ხელშეკრულების დადების თავისუფლბისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპი, რომელიც ძირითადად ხელშეკრულების შინაარსს უკავშირდება, კიდევ უფრო მეტად უნდა იყოს დაცული სტანდარტული პირობების მქონე ხელშეკრულების შედგენისა და დადებისას, რადგან მომხმარებელი, რომელიც არ მონაწილეობს ამ ხელშეკრულების შედგენაში, არ უნდა აღმოჩნდეს მძიმე მდგომარეობაში. ამ ტიპის ხელშეკრულებებში მომხმარებლის დაცვა დიდად არის დამოკიდებული სტანდარტული პირობების დამდგენი მხარის სამართლებრივ კეთილსინდისიერებაზე.
საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მითითებული ნორმებით (8, 319, 342-348, 115), ან სხვა კანონონმდებლობით დაცვის მიუხედავად ხშირად შეუძლებელია იმ რისკების თავიდან აცილება, რომელიც მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან არის დაკავშირებული. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს სტანდარტული ხელშეკრულების ფორმის თავისუფლება შინაარსის თავისუფლებისაგან. ხშირ შემთხვევაში სტანდარტული პირობების შინაარსი მოკლებულია კეთილსინდისიერების პრინციპს. ეს, კი, გამოწვეულია სტანდარტული პირობების დამდგენი მხარის არაკეთილსინდისიერებით.
სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ დაადგინა, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც ბანკის მიერ დადებული ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, როგორც ცალმხრივად შედგენილი პირობები, ეწინააღმდეგება საკანონმდებლო მოთხოვნებს, დარღვეულია კეთილსინდისიერების პრინციპიც. ასეთი ხელშეკრულებები, ან ამ ხელშეკრულების კონკრეტული პირობები სასამართლოს მიერ ხშირად ბათილად არის ხოლმე ცნობილი. მაგალითად ერთ-ერთი სასამართლო გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ბანკის მიერ სტანდარტული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა. რომლითაც პირგასამტეხლოსა და პროცენტის გადახდის ვალდებულების წარმოშობა დამოკიდებული იყო პირობაზე - სარჩელის აღძვრაზე. ასეთი პირობით დადებული ხელშეკრულება კი ბათილია, რადგან იგი ეწინააღმდეგება კანონს. (წიგნი #4, გვ.167)

სტანდარტული პირობების შინაარსის კანონის მოთხოვნებთან შეუსაბამობას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც პირობების ცალმხრივად დამდგენი მხარე არ ითვალისწინებს მომხმარებლის ინტერესებს და ცდილობს მხოლოდ თავისი ინტერესების გათვალისწინებით განსაზღვროს ხელშეკრულების შინაარსი.
სახელშეკრულებო თავისუფლება ძირითადად იურიდიული პირების საქმიანობაში იღებს ხშირად არცთუ ისე სასურველ შედეგებს მომხმარებელთათვის.

საბანკო სისტემაში მოქმედი ხელშეკრულებები ძირითადად სტანდარტული პირობების მქონე ხელშეკრულებებია, რომელთა შინაარსიც სწორედ ცალმხრივად და არაკეთილსინდისიერად არის შედგენილი. ასეთი ხელშეკრულებები ბუნდოვან და ყოვლისმომცველ პირობებს მოიცავს, რომელთა საფუძველზეც მომხმარებელი (ბანკის კლიენტი) ხშირად გაურკვეველ სამართლებრივ სივრცეში ექცევა და ბუნდოვანი

პირობების მსხვერპლი ხდება. მაგალითად, პრაქტიკის შესწავლით ნათელი ხდება, რომ კლიენტი (მომხმარებელი) ხელს აწერს ბანკის მიერ შედგენილ სტანდარტულ ხელშეკრულებას, რომელიც მოიცავს ერთნაირ პირობებს ვადიანი და უვადო ხელშეკრულებებისათვის, ასევე, ამ ხელშეკრულებების როგორც ვადამდე, ისე ვადით შეწყვეტის ერთნაირ წესებზე. კონკრეტული ვადით დადებულ ხელშეკრულებებში ხშირად მოცემულია სხვადასხვა ვადით დადებული ხელშეკრულებების პირობები. ასევე, ხშირად იკვეთება კანონსაწინააღმდეგო ხასიათის სტანდარტული პირობები, მაგალითად: ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების ესა თუ ის სტანდარტული პირობა, პროცენტი, ვადა და ა. შ. რაც ძალიან ბუნდოვანია არა მხოლოდ ნებისმიერი პროფესიის მქონე მომხმარებლისათვის, არამედ, თვით იურისტებისთვისაც კი. ამასთან, ასეთი პირობების შესრულებისადმი მომხმარებლის დამოკიდებულება იძენს სავალდებულო ხასიათს. ასეთი პირობების გაუთვითცნობიერებლად შესრულება ხშირად მომხმარებლის ინტერესების დარღვევას იწვევს და მას კაბალურ პირობებში აქცევს.

ამდენად, საბანკო საქმიანობის პრაქტიკაში ხშირად არსებობს მხოლოდ ერთი შინაარსის სტანდარტული პირობების მქონე ხელშეკრულება, რომელზე ხელმოწერასაც სთავაზობენ ყველა მომხმარებელს, რომელთათვისაც ბუნდოვანი ხდება ასეთი ხელშეკრულების რომელი პირობები შეესაბამება მის კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს. ამიტომაც, მომხმარებელი ხშირად ხდება ხელშეკრულების მსხვერპლი.

გასათვალისწინებელია, რომ რადგანაც საბანკო მომსახურების სხვადასხვა სახე არსებობს, თითოეული მათგანისთვის მისი შესაბამისი ხელშეკრულების სტანდარტული პირობები ცალ-ცალკე უნდა დადგინდეს, რომლის შეთავაზებაც მოხდება მხოლოდ იმ მომხმარებლისათვის, რომელიც კონკრეტული სახის საბანკო მომსახურებით ისარგებლებს.
ასეთი პრინციპებით შედგენილი სტანდარტული პირობების მქონე ხელშეკრულებები უფრო მეტად დაიცავს მომხმარებელთა ინტერესებს და არ იქნება მხოლოდ ცალმხრივად პირობების დამდგენი მხარის ინტრესების დაცვაზე ორიენტირებული და ნაკლებ დავებსაც გამოიწვევს.

პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე თავად უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტების თანახმად, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსით მოცემულია ხელშეკრულების თავისუფლად დადებისა და მისი შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის პრინციპი, თუმცა, რიგ შემთხვევებში საჭიროა ჩარევა, ერთი მხრივ კანონმდებლის მიერ, რაც განხორციელებადია იმპერატიული ნორმების საფუძველზე და მეორე მხრივ სასამართლოს მიერ კანონის, ან ხელშეკრულების პირობის სამართლიანი, მხარეთა ორმხრივი ინტერესების შესაბამისად განმარტების გზით, რაც უზრუნველყოფს სამოქალაქო ბრუნვის, როგორც ფასეულობის დაცვას. იძულებითი კონტრაჰირებისას სასამართლოს გააჩნია შესაძლებლობა თავად განსაზღვროს და დაადგინოს სამართლიანი პირობები. სწორედ ამგვარი ნორმატიული შინაარსის მატარებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე და 325-ე მუხლები.

დასახელებული ნორმებით გათვალისწინებული უფლება, ხელშეკრულების „სუსტმა“ მხარემ დაიცვას თავი ხელშეკრულების უსამართლო დებულების მოქმედებისაგან და სასამართლოს ვალდებულება, განახორციელოს აღნიშნული უფლების დაცვა, მიზნად ისახავს ფორმალური ბალანსის, რომელსაც ხელშეკრულება ამყარებს უფლებათა და მოვალეობათა გადანაწილებით, ჩანაცვლებას ეფექტური ბალანსით, რომელიც აღადგენს მხარეთა შორის თანასწორობას“. (წიგნი #10, 201საქართველოს უზენაესი 8, გვ. 7-8)

სასამართლოს განმარტებითვე „სუსტი მხარის“ დეფინიცია არ გულისხმობს პირის სტატუსს, არამედ მის მდგომარეობას სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. (წიგნი #10, 2018, გვ.8)

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, უფლება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბოროტად მხოლოდ იმ მიზნით, რომ სხვას მიადგეს ზიანი. უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, როდესაც ირღვევა კეთილსინდიდიერების პრინციპი, დავის განხილვის დროს სასამართლოს უპირველესი მოვალეობაა უზრუნველყოს სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელება. ამისთვის კი ხდება სტანდარტული პირობების მქონე ხელშეკრულების შინაარსის კანონიერების შემოწმება. (წიგნი#17, 2017, გვ. 170)

პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება, განსაკუთრებით საბანკო საქმიანობის სფეროში, ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ საჭიროა შეიცვალოს სტანდარტული პირობების მქონე ხელშეკრულების შინაარსის კონტროლის საკანონმდებლო მექანიზმი.
ამდენად საბანკო საქმიანობის სფეროში მოქმედი იურიდიული პირების საქმიანობა ძირითადად ეყრდნობა სახელშეკრულებო სამართალს, რომელთა შინაარსი განისაზღვრება სტანდარტული პირობებით. უნდა დადგინდეს საბანკო დაწესებულებების მიერ შედგენილი სტანდარული პირობების მქონე ხელშეკრულებათა შინაარსის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგის სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს განსაკუთრებით იმ მომხმარებელთა უფლებების დაცვას, რომელთაც საბანკო სფეროში მოქმედ ხელშეკრულებებში უწევთ ჩართვა. ამისათვის აუცილებელია, რომ მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე ორიენტირებული საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა მაქსიმალურად მოვიდეს შესაბამისობაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კანონმდებლობასთან.

ლიტერატურა:

1. პროფ; დოქტ: გიორგი სვანაძე,- ხელშეკრულება, როგორც ვალდებულების წარმოშობის საფუძველი- გამოქვეყნებულია კრებულში-სახელშეკრულებო სამართალი, რედაქტორი: გიორგი ჯუღელი, USAID, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014, გვ. 102; გვ111; გვ. 117; გვ 187
2. პროფ. დოქტ: თამარ ჩიტოშვილი, - ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შინაარსი და სახეები, თბილისი 2015, გვ.38
3. სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი III, მუხლები 316-476, რედაქტორი: პროფ. ლადო ჭანტურია, USAID, 2018, გვ.56; გვ. 185
4. პროფ. დოქტ: ლადო ჭანტურია., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, 2011, გვ.86
5. პროფ. დოქტ: ლადო ჭანტურია, შესსავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომცემლობა „სამართალი“, 1997, გვ.342
6. პროფ. დოქტ. თამარ ლაკერბაია; პროფ. დოქტ: ვახტანგ ზაალიშვილი; პროფ. დოქტ: თამარ ზოიძე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი (ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზა), IBSU, თბილისი, 2018. გვ.186
7. Lieb/langen, Schuldrecht (ვალდებულებითი სამართალი), Band 2/2, 3. Aufgabe, Nomos, DeutscherAnwaltVerein, seite-3534
8. Bürgerliches Gesetzbuch, Schuldrecht 2 (სამოქალაქო კოდექსი, ვალდებულებითი სამართალი), $$305-310, bearbeitet von: Professor Dr. Jörg Fritzsche, Professor Dr.Kai-Oliver Knops, 2018, seite-25
9. Dr.Dr.h.e. Peter Bulow ; Dr. Markus Artz, (Schwerpunktbereich) Verbraucherprivatrecht, 5 Aufgabe, seite 12
10. Kathleen Sedlmeier - Rechtsgeschäftliche Selbstbestimmung im Verbrauchervertrag (სამომხმარებლო ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულირება), Studien zum Privatrecht 21, 2012 რეგულირება), seite-26
11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებული, ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი), წიგნი #10, 2018, გვ. 7-8
12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებული, ვალდებულებითი სამართალი (ზოგადი ნაწილი), წიგნი #10, 2018, გვ.8
13. საქართველოს უზენასი სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებული, სახელშეკრულებო სამართალი, წიგნი #17, 2017, გვ. 170

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის #2ბ/4686-13 გადაწყვეტილება